ხელშეკრულება

(სამუშაოების შესრულების შესახებ)

საქართველო, თბილისი 09 დეკემბერი 2025 წელი

შპს „საქანელა დეველოპმენტს“, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომერი: **404718873**, მისამართი: საქართველო, თბილისი, რესპუბლიკის მოედანი (შემდგომში „**დამკვეთი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ჭიჭინაძეს** სახით

და

შპს „აბსოლუტ მენეჯმენტ ჯგუფი“, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საიდენტიფიკაციო ნომერი: **405381652**, მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. მაჭავარიანის ქ. #65, ბ.ბლოკი, ბ.36 (შემდგომში „**შემსრულებელი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით როზაქიძეს** სახით.

დამკვეთი და შემსრულებელი ცალ-ცალკე ნახსენებია როგორც “**მხარე**”, ხოლო ერთობლივად, როგორც ,,**მხარეები**“.

<u>ვინაიდან</u>:

- დამკვეთს განზრახული აქვს დაიქირავოს შემსრულებელი, მასზედ რომ შემსრულებელმა შეასრულოს ის სამუშაოები, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებასა (შემდგომში “**ხელშეკრულება**”) და მის დანართებში და რომელიც უნდა შესრულდეს “საქანელას” პროექტისათვის (შემდგომში “**პროექტი**”)(საკადასტრო კოდი: <u>01.15.04.003.048</u>).
- დამკვეთის მიზანია, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი ნაგებობის მეშვეობით, უზრუნველყოფილ იქნას წვდომა ტერიტორიის მიწისქვეშ არსებულ, შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” კუთვნილ საკანალიზაციო კოლექტორთან, შემდგომში კოლექტორზე შესაბამისი კვლევის ჩატარების მიზნით;
- შემსრულებელს აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, კომპეტენცია და გამოცდილება რომ შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მაღალი ხარისხით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად და ვადებში.
- შემსრულებელი გამოხატავს მზადობას, რომ იკისროს ამ ხელშეკრულებით გათვასილისწინებული ვალდებულებები და შეასრულოს სამუშაოები ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მხარეები ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. „ხელშეკრულების“ თანახმად და მისი მოქმედების განმავლობაში „შემსრულებელი“ განახორციელებს პროექტისათვის დანართი #1-ით გათვალისწინებულ სამუშაოებს საკუთარი მასალით (შემდგომში **„მომსახურება“ / „სამუშაო“**), ასევე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების ნებართვის მისაღებად შემსრულებელი ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიას, მის შესაბამის სამსახურ(ებ)ს ან/და სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტაციას, სრულყოფილად და დაჩქარებული წესით მიიღებს სამუშაობის წარმოებისათვის/ნაგებობების მშენებლობისთვის შესაბამის ნებართვას (შემდგომში “**ნებართვა**”).

1.2. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი,გამოსაყენებელი მასალა, სამუშაოებისა და მასალის განფასება მოცემულია ასევე დანართი #1-ში.

1.3. სამუშაოები უნდა მოდიოდეს სრულ შესაბამისობაში წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართით გათვალისწინებულ მახასიათებლებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებთან. შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მომსახურება გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით, დანართებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.4. შემსრულებელი ვალდებულია :
(ა) მიიღოს ყველა საჭირო ნებართვა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურ(ებ)იდან (შემდგომში "**ნებართვა**") ან/და სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან, მხარეთა ხელმოწერიდან 50 სამუშაო დღის ვადაში;
(ბ) მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყოს სამუშაოების შესრულება და შესრულებული სამუშაობი ჩააბაროს დამკვეთს არაუგვიანეს 2026 წლის 28 თერვალს;
(გ) სამუშაოებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები, თუ მას არ ჭირდება ნებართვა შესაბამისი ადმინისტრაციული ოგანოსგან, დაიწყოს არაუგვიანეს 2025 წლის 14 დეკემბრისა ხოლო საჭირო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მობილიზება უნდა განახორციელოს ნებართვის მოპოვებიდან 1 დღის ვადაში.
1.5. სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება დამკვეთს და შემსრულებელს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერის შემთხვევაში. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ადასტურებს შემსრულებლის მიერ მომსახურების დასრულებას და არა მის ჯეროვნად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებას.

1.6. დამკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება არ ათავისუფლებს შემსრულებელს სამუშაოს ან მის ნებისმიერ ნაწილში დამკვეთის მიერ აღმოჩენილი დეფექტების/ხარვეზ(ებ)ის გამოსწორების/ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

1.7. მომსახურება მოიცავს, შემსრულებლის მიერ მომსახურებისთვის აუცილებელი და საჭირო მუშა-ხელის, მანქანა-დანადგარების და სხვა აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფას სამუშაოების ჯეროვნად, ხარისხიანად და დათქმულ ვადებში შესრულების მიზნებისთვის.

1.8. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას სკულპულოზირად გაყვეს დანართი #1-ს, ხოლო მისგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსრულებელს არ აუნაზღაურდება დამატებით შესრულებული სამუშაო.

1.9. შემსრულებელი სრულად ინფორმირებულია და აცნობიერებს, რომ:

ა) ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი გვირაბების მეშვეობით, უზრუნველყოფილ უნდა იქნას წვდომა ტერიტორიის მიწისქვეშ არსებულ, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" კუთვნილ საკანალიზაციო კოლექტორთან. შესაბამისად, გვირაბები გაყვანილ უნდა იქნას ზედმიწევნით დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და სამუშოები უნდა შესრულდეს ისეთი ტექნიკითა და წინდახედულობით, რომ არ დაზიანდეს კოლექტორი.

ბ) გვირაბები შემდგომში გამოყენებულ იქნება ადამიანთა და შესაბამისი ტექნიკის გადასაადგილებლად, კოლექტორზე კვლევის განხორციელების მიზნით. შემსრულებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები მოემსახურება ამ მიზანს და სრულად დააკმაყოფილებს უსაფრთხოების და სხვა შესაბამის სტანდარტებს.

გ) აღნიშნული გარანტიების/ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა დამკვეთის ან/და მესამე პირთა წინაშე ეკისრება შემსრულებელს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი:

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მყარი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს ლარს
(შემდგომში „**საფასური**").

2.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული შემსრულებლის შემდეგ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, კერძოდ: ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: **GE71BG0000000162604609.**

2.3. ანგარიშსწორების პირობები:

(ა) მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი დამკვეთს ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს წარუდგენს საანგარიშო თვეში შესრულებულ სამუშაოების შესახებ ინფორმაციას და შესრულებული სამუშაოების საფასურს დანართი #1-ის შესაბამისად, ხოლო თუ დამკვეთს რაიმე პრეტენზია არ ექნება შესრულებულ სამუშაოებთან ან/და საფასურთან დაკავშირებით, მხარეები გააფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს და აქტის გაფორმების თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოხდება ანგარიშსწორება.

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ დამკვეთის მიერ გადახდის ვალდებულება შესრულებულად ითვლება შესაბამისი თანხის შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე (რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში, პუნქტი 2.2) გადარიცხვისთანავე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

3.1. **შემსრულებელი ვალდებულია:**

3.1.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართიებით გათვალისწინებული სამუშაოები და ნაკისრი ვალდებულებები, პირადად, მაღალპროფესიულად, კვალიფიციური პერსონალის ჩართულობით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული ნორმების, წესების, მათ შორის და არამარტო შრომის უსაფრთხოების წესების, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული და განუხრელი დაცვით;

3.1.2. უზრუნველყოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ნებართვის ქონა;

3.1.3. დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან შესრულების სავარაუდო დაგვიანების, შეფერხების შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია შეფერხების გამომწვევი მიზეზების შესახებ და ყველა ღონე იხმაროს აღნიშნული შეფერხების სწრაფად და ეფექტიანად აღმოსაფხვრელად;

3.1.4. იმ შემთხვევაში თუ ფერხდება სამუშაოების შესრულება, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს აღნიშნულის შესახებ, მიწოდოს ინფორმაცია თუ რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს შესმრულებელი აღნიშულის აღმოსაფხვრელად და მიუთითოს გამოსწორების ვადები. ასევე, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ შესაძლებელია სხვა სამუშაობის გაგრძელება, შესმრულებელი ვალდებულია არ შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარება და პარალელურად გამოასწოროს შეფერხების გამომწვევი მიზეზები.

3.1.5. ხელი შეუწყოს დამკვეთს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში. განიხილოს და გაითვალისწინოს დამკვეთის ანდა მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის/კონსულტანტების შენიშვნები, პრეტენზიები და მიაწოდოს დასაბუთებული პასუხი ყველა საკითხზე;

3.1.6. საკუთარი რესურსითა და ხარჯით აღმოფხვრას ის ხარვეზი/ნაკლი, რომელიც გამოვლინდება მომსახურების გაწევის ან/და საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

3.1.7. უზრუნველყოს დამკვეთისთვის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი და საჭირო დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაცემა.

3.1.8. სამუშაოების შესრულებისას ზიანი/ზარალი არ მიაყენოს დამკვეთის საქმიან რეპუტაციას, თანამშრომლებს ან/და ნებისმიერი პირის და მათ შორის მესამე პირთა ქონებას, სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას. უსაფრთხოების მიზნით გააკონტროლოს ნებისმიერი პირის გადაადგილება;

3.1.9. დამკვეთის მოთხოვნით შემსრულებლის ხარჯით საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში გამოასწოროს მომსახურების გაწევის შედეგად ყველა აღმოჩენილი ნაკლი/ხარვეზი/დეფექტი ან/და უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურება;

3.1.10. უზრუნველყოს მისი დაქირავებულ(ებ)ის ან/და წარმომადგენლ(ებ)ის ან/და თანამშრომლ(ებ)ის ან/და აგენტ(ებ)ის ან/და კონტრაქტორ(ებ)ის ან/და ქვეკონტრაქტორების, ტერიტორიაზე ან/და პოტენციურად საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირის შრომის ან/და ჯანმრთელობის უსაფრთხოება. დაიცვას სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმებისა და წესების მოთხოვნები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში.

3.1.11. შემსრულებელი აღიარებს და ადასტურებს, რომ ის ასრულებს ამ სამუშაოებს დამკვეთის შეკვეთის შესაბამისად და ყველა საავტორო და მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებები (როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი - ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაიმე შეზღუდვის გარეშე, კანონით დადგენილი წესით, მათ შორის მომსახურებაზე საკუთარი სახელის მითითების უფლებით ეკუთვნის დამკვეთს.

3.1.12. სამუშაოების შესრულებისას ზედმიწევნით დაიცვას ყველა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3.1.13. სამუშაოების შესრულებისას ზიანი არ მიაყენოს დაკვეთის საკუთრებას / მფლობელობას, მესამე პირებს, მათ საკუთრებას თუ მფლობელობაში არსებულ ქონებას და იკისროს პასუხისმგებლობა ამ ვალდებულების ცდარღვევის შედეგად დამდგარ ნებისმიერ ზიანსა და ზარალზე.

3.1.14. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაობის წარმოება უწყვეტი რეჟიმით 24 საათის განმავლობაში ორ ცვლად, ცვლის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 12 საათს (მოცმეული პერიოდი მოიცავს 1 საათიან დასვენების რეჟიმს). შრომის კანონმდებლობის ზედმიწევნის დაცვის ვალდებულება გააჩნია შემსრულებელს.

3.1.15. შემსრულებელი ვალდებულია მოუფრთხილდეს, შემკვეთის მიერ, დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამთო ტექნიკას და ელექტრულ დანადგარებს, სპეციალისტების მიერ, მოახდინოს მათი ექსპლუატაცია და პერიოდული რემონტი. მიაწოდოს ინფორმაცია შემკვეთს საჭირო მარაგი ნაწილების მოთხოვნის თაობაზე.

3.1.16. შემსრულებელი ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა არ დაუშვას და არსებობის შემთხვევაში კი აღმოფხვრას მომსახურების ხარისხის დაქვეითების მიზეზები;

3.2. დამკვეთს უფლება აქვს:

3.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, დანართით, ყველა სხვა შესაბამისი დოკუმენტაციით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების/მოთხოვნების სრული და უპირობო დაცვა.

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და უპირობო შესრულება.

3.2.3. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

მუხლი 4. ინსპექტირება და ნაკლის/ხარვეზების გამოსწორება/შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ინსპექტირებას ახორციელებს დამკვეთი.

4.2. დამკვეთის მხრიდან სამუშაოს ინსპექტირების პერიოდში ნებისმიერი სახის ნაკლის აღმოჩენისა და დადასტურების შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია უარი თქვას სამუშაოს

მიღებაზე და შემსრულებელს განუსაზღვროს გონივრული ვადა ნაკლის გამოსწორების მიზნით. ინსპექტირება უნდა განხორციელდეს სამუშაოების დასრულებაზე შემსრულებლის წერილობითი შეტყობინების თარიღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

4.3. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის განსაზღვრულ ვადაში ნაკლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს ნაკლით გამოწვეული ზიანის შესაბამისი ოდენობა.

4.4. დამკვეთის მიერ მიღებული შესრულებული სამუშაო ან ზედამხედველობა ან და ინსპექტირება არ ათავისუფლებს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სტანდარტების შესაბამისად, მაღალი ხარისხით - შეთანხმებულ ვადაში და პირობებით, ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში იმოქმედებს საგარანტიო პირობები.

4.5. დამკვეთი უფლებამოსილია ინსპექტირება მოახდინოს შესასრულებელი სამუშაოს ნებისმიერ ნაწილზე, რომელიც შესრულდება შემსრულებლის ან/და ქვეკონტრაქტორ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ. შემსრულებელმა ქვეკონტრაქტორებს ვალდებულება უნდა დააკისროს და უნდა შეუქმნას შესაბამისი პირობები ინსპექტირების თაობაზე და ასევე აიღოს პასუხისმგებლობა მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯზე.

4.6. დამკვეთი შემსრულებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დადასტურებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით. თუ შემსრულებელი ამ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, დამკვეთი უფლებამოსილია მესამე პირის საშუალებით განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება და გაწეული ხარჯის ანაზღაურება მოსთხოვოს შემსრულებელს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს გაწეული ხარჯი შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული.

4.7. მხარეები თანხდებიან, რომ ყველა ის ხარვეზი რომელიც გამოვლენილ იქნება ინსპექტირების პერიოდში, სანამ არ იქნება გამოსწორებული შემსრულებლის მიერ, მანამდე დამკვეთს უფლება აქვს დააკავოს შესმრულებლისათვის გადასახდელი თანხები, რომლის გადაუხდელობა არ ჩაითვლება დამკვეთის მიერ ანგარისშწორების ვადის დარღვევაში.

4.8. მხარეები თანხმდებიან, რომ 4.7 პუნქტით დადგენილი გარემობის არსბეობისას (როდესაც დამკვეთს თვითონ უწევს ხრვეზის გამოსწორება), დამკვეთი უფლებამოსილია ხარვეზის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯები გამოქვითოს შემსრულებლისათვის გადასახდელი თანხებიდან, რაზეც შესმრულებელი გამოთქმას უპირობო და უკან გამოუხმობად თანხმობას. ხოლო თუ შემსრულებლისათვის გადასახდელი თანხები არ არის საკმარისი ხარვეზის გამოსწორებისათვის, შესმრულებელი აანაზღაურებს აღნიშნულ დამკვეთის მიერ დადგენილ ვადებში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.2. შემსრულებელი პასუხისმგებელია თავისი თანამშრომლების ან მასთან დაკავშირებული მესამე პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევაზე. შემსრულებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონის ,,ნარჩენების შესახებ კოდექსით“ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე.

5.3. შემსრულებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნებისმიერ ნაწილზე.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ არ განახორციელა ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ან/და პირობების შესაბამისად, არადამრღვევი მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს, ხოლო დამღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხელო ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მხარეები თანხმდებიან რომ დამკვეთის შემთხვევაში პირგასამტეხლო გამოითვლება ვადამოსული გადასახდელი თანხებიდან.

5.5. პირგასამტეხლოს დაკისრება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალებულებების შესრულებისგან.

5.6. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს შემსრულებლისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხიდან, მისი თანხმობის გარეშე.

5.7. შემსრულებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე.

5.8. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელს არ ექნება სათანადო ნებართვა, რაც გამოიწვევს დამკვეთისათვის ნებისმიერი სახის ზიანს, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ დადგენილ ვადაში აუნაზღაუროს დამკვეთს დამდგარი ზიანი სრულად და უპირობოთ.

5.9. ასევე თუ შემსრულებლის მიერ დარღვეული იქნება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი / სამუშაოებთან დაკავშირებული საქართველოს მარეგულირებელი კანომდებლობა, რაც გამოიწვევს სამუშაოების შეჩერებას თუ სხვა ზიანს, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ დადგენილ ვადაში აუნაზღაუროს დამკვეთს დამდგარი ზიანი სრულად და უპირობოთ.

5.10.შემსრულებელი ვადლებულია აანაღაუროს ყველა ის ხარჯი თუ ჯარიმა, რომელიც გამოწვეულ იქნა შესმრულებლის ვალდებულების დარღვევით.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები/ხელშეკრულების შეწყვეტა და მისი შედეგები:

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2. მხარები თანხმდებიან, რომ ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

6.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

6.2.2. თუ შემსრულებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულებას, ან ხელშეკრულების პირობა/პირობები უხეშად ირღვევა ან/და სისტემატიურად სრულდება არაჯეროვნად და აღნიშული გამოსწორებადია ან დამკვეთს არ აქვს დაკარგული ინტერესი დამატებით ვადაში შესრულებაზე, დამკვეთი განუსაზღვრავს შემსრულებელს გამოსწორების გონივრულ ვადებს, ხოლო აღნიშული ვადის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. ამ დროს ანაზღაურდება ჯეროვნად შესრულებული სამუშაოები.

6.2.3. დამკვეთს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე, ცალმხრივად, რაიმე დასაბუთების გარეშე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება შემსრულებლისთვის შეწყვეტამდე 05 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში ანაზღაურდება შეწყვეტამდე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს პროპორციული ღირებულება და ამ პროექტისათვის შესყიდული მასალების ღირებულება სრულად.

მუხლი 7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული ვითარების გამო, რომლის

წინასწარ განზრახვა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ან მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით.

7.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორით), კერძოდ – უამინდობის, პანდემიის, ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, საქართველოს მთავრობის, ცენტრალური და/ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შედეგად, ან სხვა გარემოებების შედეგად რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას და მხარეს მისი თავიდან აცილება არ შეუძლია და ამ ვითარებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, მხარე ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს და წარუდგინოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვადები გადაიწევს იმ პერიოდით, რა ხანგრძლივობითაც არსებობდა ასეთი ვითარება და ასეთი ვითარება გაგრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტი ვადით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ ანგარიშსწორება ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების შესაბამისად. ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ითვლება მხარის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

7.3. მხარე ვერ გათვასიფულდება ფორს-მაჟორული გარმეობების დადგომის საფუძველზე პაუხისმგებლობისაგან თუ მან დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მეორე მხარეს აღნიშნულიუ გარმეობების წარმოქმნის შესახებ და არ წარუდგინა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დასკვა აღნიშნული გარმეოებბეისმ ოქმედების შესახებ.

მუხლი 8. დავა

8.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს. დავის განხილვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა დებულებებები

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.2. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მხარეთა რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

9.4. დანართსა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის სხვაობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება.

9.5. ხელშეკრულებით ან/და დანართით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

9.6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი
შპს ,,საქანელა დეველოპმენტს“
დირექტორი
გიორგი ჭიჭინაძე

_____

შემსრულებელი
შპს „აბსოლუტ მენეჯმენტ ჯგუფი“
დირექტორი
დავით რობაქიძე

